დაიჯესტი

4-10 თებერვალი, 2023

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

3 თებერვალს ამერიკის ხელისუფლების განცხადებით, სან-ფრანცისკოს პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელიც ეჭვმიტანილია ამ კვირის დასაწყისში რამდენიმე ცარიელი ტყვიის გასროლაში სინაგოგასა და კინოთეატრში. სან-ფრანცისკოს პოლიციის დეპარტამენტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ოფიცრებმა მამაკაცი პარასკევს, დაახლოებით 17:00 საათზე იპოვეს და „მორიგი ინციდენტის გარეშე“ დააპატიმრეს.

ფედერალური სასამართლოს დოკუმენტების თანახმად, 2 პირი, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ ენერგეტიკული ობიექტების დაზიანების შეთქმულებაში - ნეონაცისტების ლიდერი მამაკაცი და ქალი, რომელთანაც მას პირადი ურთიერთობა ჰქონდა - სავარაუდოდ, გეგმავდნენ თავდასხმას ბალტიმორის გარშემო მდებარე ელექტრო ქვესადგურებზე და მთელი ქალაქის "სრულ განადგურებას". იუსტიციის დეპარტამენტმა ბრანდონ კლინტ რასელსა და სარა ბეთ კლედანიელს ბრალი წაუყენა ენერგეტიკული ობიექტების დაზიანების შეთქმულებაში, იმის მტკიცებით, რომ მერილენდზე ორიენტირებული შეთქმულება გამოწვეული იყო ეთნიკურად ან რასობრივად მოტივირებული ექსტრემისტული შეხედულებებით.

7 თებერვალს ბრუკლინის მცხოვრები მამაკაცი, რომელიც ISIS-ის სნაიპერისა და იარაღის ინსტრუქტორი გახდა, ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერისა და სხვა ბრალდებებისთვის გაასამართლეს. აშშ-ის მოქალაქე და ბეი რიჯის ყოფილი მკვიდრი, რუსლან მარატოვიჩ ასეინოვი დამნაშავედ იქნა ცნობილი ხუთივე ბრალდებით, მათ შორის ბრალდებებით, რომ ISIS-ისთვის გაწეულ მის მატერიალურ მხარდაჭერას მსხვერპლი მოჰყვა. მას ციხეში სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

თურქეთი

4 თებერვალს თურქეთის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ, დასავლეთის ქვეყნების საკონსულოების უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე დღის გაფრთხილების შემდეგ, განაცხადა, რომ პოლიციამ ექსტრემისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ სავარაუდო კავშირის გამო 15 ადამიანი დააკავა. საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუ“ სტამბოლის პოლიციის

განცხადებას ავრცელებს იმის შესახებ, რომ დაჯგუფება სტამბოლში შვედეთისა და ჰოლანდიის საკონსულოებზე, აგრეთვე ეკლესიებსა და სინაგოგებზე თავდასხმებს გეგმავდა.

ისრაელი

ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა განაცხადა, რომ მათ აქბატ ჯაბრში ჰამასის წევრების სამიზნე ოპერაციის დროს, იერიხონის მახლობლად მდებარე ლტოლვილთა ბანაკში 5 პალესტინელი მებრძოლი მოკლეს. ისრაელის სამხედროებმა განაცხადეს, რომ მათ დაარბიეს ბანაკი 2 პალესტინელი ეჭვმიტანილის დასაკავებლად, რომლებიც გასულ თვეში ცდილობდნენ იერიშის მიტანას მიმდებარე რესტორანზე, სადაც ხშირად ებრაელი ისრაელელები იყვნენ, მაგრამ მათი იარაღი გაუმართავი იყო და შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ.

7 თებერვალს პალესტინის ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე ჯარის დარბევისას პალესტინელი მოზარდი მოკლეს. სამინისტრომ განაცხადა, რომ 17 წლის ჰამზა ალ-აშკარი დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ნაბლუსში თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა, თუმცა ინციდენტის შესახებ დამატებითი დეტალები უცნობია.

ეგვიპტე

როიტერსის ცნობით, ეგვიპტე აქტიურად აგრძელებს მედიაციის პროცესს ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკებების რაუნდების ძირითადი თემებია ტყვეების გაცვლა და ცეცხლის შეწყვეტა დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე. ეგვიპტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამჟამად მათი მიზანია რამადანის თვის მანძილზე მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის საკითხზე შეთანხმება.

სირია

წყაროების თანახმად, ჯიჰადისტებმა ცოტა ხნის წინ ჩაატარეს 11-ზე მეტი თვითმკვლელი ოპერაცია სირიის შეიარაღებული ძალების რეგულარული წევრების წინააღმდეგ ფრონტის ხაზზე იდლიბის, ჰამის, ლატაკიისა და ალეპოს პროვინციების მიმდებარე რაიონებში. უახლესი თავდასხმა მოხდა 4 თებერვალს, ქალაქ კობანში, ლატაკიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც დაიღუპა სულ მცირე 5 თვითმკვლელი ტერორისტი და ერთი ჯარისკაცი.

სირიულმა წყარომ AFP-ს განუცადა, რომ 6 თებერვალს მომაკვდინებელი მიწისძვრის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ სირიის ერთ-ერთ ციხეში მყოფი პატიმრები აჯანყდნენ, რის შედეგადაც, სულ მცირე 20 მათგანი ციხიდან გაიქცა. აღნიშნულ ციხეში, ძირითადად, ისლამური სახელმწიფოს წევრები იყვნენ განთავსებულნი. თურქეთის საზღვრის მახლობლად, ქალაქ რაჯოში, სამხედრო პოლიციის ციხეში, დაახლოებით 2 000 პატიმარია, რომელთაგან დაახლოებით 1 300 ისლამური სახელმწიფოს მებრძოლია.

ავღანეთი

ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 5 თებერვალს კატარის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი ავღანეთის დედაქალაქს ეწვია და თალიბანის ადმინისტრაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდა. ვიზიტი მას შემდეგ მოხდა, რაც თალიბანის ადმინისტრაციამ დააწესა შეზღუდვები ქალთა განათლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე, რასაც კატარმა, საერთაშორისო კრიტიკის ფონზე, "ღრმად შემაშფოთებელი" უწოდა.

საუდის არაბეთმა, შესაძლო თავდასხმის მუქარის გამო, ქაბულში თავისი საელჩო დახურა და მისი 14 დიპლომატი, მათ შორის საქმეთა დროებითი რწმუნებული აბდულა ფაჰდ ალ-კაჰლანი, საცხოვრებლად ისლამაბადში გადავიდა. დიპლომატების პაკისტანში გადასვლა 7 თებერვალს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საუდის არაბეთის მისიაში მაღალგანცხადებულმა წყაროებმა დაადასტურა. საუდის არაბეთის საელჩო ISIS-ის თავდასხმის მუქარის გამო 3 თებერვალს დაიხურა.

ბლუმბერგის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები დაემუქრნენ ჩინეთის, ინდოეთის და ირანის საელჩოებს ქაბულში. გაეროს უსაფრთხოების საბჭომ განაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფო ცდილობს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს თალიბანის დიპლომატიური ურთერთობები ავღანეთის მეზობელ და მოკავშირე სახელმწიფოებთან.

პაკისტანი

5 თებერვალს, სამხრეთ-დასავლეთ პაკისტანში ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა 1 ჯარისკაცი და დაშავდა 12 ადამიანი, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობა. თავდასხმის სამიზნე უსაფრთხოების საგუშაგოს შესასვლელთან მდებარე სამხედრო მანქანა იყო. არც პროვინციულ პოლიციას და არც სამხედრო მედია ფრთას არ გაუზიარებიათ რაიმე დეტალი კვეტას აფეთქების მსხვერპლისა და ხასიათის შესახებ.

ბურკინა ფასო

6 თებერვალს ბურკინა ფასოს დროებითმა მთავრობამ განაცხადა, რომ შეიარაღებულმა პირებმა 4 თებერვალს ჩრდილოეთ ბურკინა ფასოზე თავდასხმის დროს სულ მცირე 22 მშვიდობიანი მოქალაქე და 3 პოლიციელი მოკლეს. თავდასხმა მოხდა შაბათს შუადღისას ჩრდილოეთ პროვინცია სენოში, დასავლეთ აფრიკის ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც 2015 წლიდან ჯიჰადისტების აქტიურობის კერად იქცა.

ნიგერია

9 თებერვალს გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა იერიში მიიტანეს პოლიციელებსა და სამოქალაქო პირებზე დედაქალაქ კინშასას სხვადასხვა უბნებში. ბოლო ინფორმაციით, აღნიშნულ თავდასხმას ემსხვერპლა 102 სამოქალაქო პირი და პოლიციელი.